



საქართველოს საბანკო სისტემა

ქეთი ღორეშვილი –
სტუ-ს დოქტორანტი
barata49@mail.ru

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია კავშირი უცხოურ ინვესტიციებსა და ქართულ ბანკებს შორის.

ბანკები წარმოადგენენ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ჯაჭვის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს, ვინაიდან ისინი არიან სწორედ ის ორგანიზმები, რომლებიც ხელს უწყობენ კაპიტალის სწორად გადანაწილებას ეკონომიკაში. როდესაც ეს სისტემა ფუნქციონირებს სწორად, მაშინ ეკონომიკაც ჯანსაღად ფუნქციონირებს და ზრდაც შესაბამისია, რაც ძალზე

მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის შიგა ფუნქციონირებისთვის, ასევე მის საზღვრებს გარეთ.

იმისათვის, რომ ბანკებმა შეძლონ თავიანთი რესურსის მოძიება, არსებობს რამდენიმე რესურსი, რომელიც შემდგომ გამოიყენება სხვადასხვა საქმიანობის და ასევე რენტაბელური ბიზნესის წარმოებისთვის. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ფინანსური რესურსების ერთ-ერთ ასეთ წყაროზე, რომელსაც ბანკები იყენებენ და რომელიც მოდის უცხოური ფინანსური წყაროებიდან.

საბანკო სისტემა და მისი გამართული მუშაობა ქვეყნის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანეს ნაწილად გადაიქცა. ფინანსურმა კრიზისმა, რომელმაც ერთნაირად დააზიანა როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნები, დიდი გავლენა იქონია ბანკებზე და მათ მიერ შემოთავაზებულ დაკრედიტების პროგრამებზე. რთული გახდა უცხოური საკრედიტო რესურსების მოზიდვა და შესაბამისად ბანკებში არსებული ფინანსები, შემდგომი დაკრედიტებისთვის არის რთულად მოსაძიებელი პროდუქტი.

საქართველოში არ არის ბევრი ისეთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ასახული იყოს, თუ როგორ მოიპოვებენ საქართველოში ფუნქციონირებადი ბანკები ფინანსურ რესურსებს, გარდა ანაბრებისა და კლიენტების მიმდინარე ანგარიშზე მყოფი თანხებისა, იმისთვის, რომ მოხდეს შემდეგ ამის გამოყენება საკრედიტო სისტემაში. მსგავსი კვლევებისა და მისი გამოყენების არ არსებობის გამო, ხშირად გამოითქმება იმის აზრი, რომ საქართველოში საპროცენტო განაკვეთები არის ძალიან მაღალი, რომ ხშირად საკრედიტო პროდუქტები არ შეესაბამება ბაზარზე არსებულ მოთხოვნას.

საქართველოში მოქმედი ბანკები უხვად იყენებენ უცხოურ კაპიტალს, იქნება ეს საკრედიტო ხაზი თუ სხვა ტიპის ფინანსური. ჩვენი ჰიპოთეზა, რომლის განვითარებასა და დამტკიცებას ჩვენ შევეცდებით, მოიცავს შემდეგს, რომ საქართველოში ბანკებს ხელი მიუწვდებათ იაფ და დიდი მოცულობის ფინანსურ რესურსზე

უცხოურ ფინანსურ ბაზარზე, რაც მათ საშუალებას უნდა აძლევდეს მოახდინონ თავიანთი კლიენტთა რიცხვის გაზრდა და შესაბამისად გაცემული კრედიტების დივერსიფიკაცია, რაც თავის მხრივ საშუალებას უნდა იძლეოდეს კრედიტები გაიცეს უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთით, ვინაიდან რისკების გადანაწილება მოხდება.

ეს სტატია საინტერესოა როგორც საბანკო ინსტიტუტებისთვის, ასევე იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც იყენებენ საბანკო დაფინანსებასა და რომლებიც გაცემენ ფინანსურ რესურსებს ქართულ ბანკებზე შემდგომი დაკრედიტებისთვის, ვინაიდან კვლევა მოიცავს როგორც არსებულ მდგომარეობას, ასევე განვითარების რესურსს და ქმნის საფუძველს შემდგომი კვლევებისთვის ამ ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი სექტორისთვის საქართველოს ბიზნესგარემოში.

ბიზნესორგანიზაციის ტიპი, რომელსაც ბანკი ეწოდება, მისი თანამედროვე სახით უკვე ექვსას წელზე მეტია, რაც არსებობს. მნიშვნელოვანია ითქვას აქვე, რომ ორგანიზაციის ამ ტიპმა განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები მისი პირვანდელი სახისგან და დღემდე ეს ცვლილებები აქტიურად გრძელდება. ბანკი, როგორც ადგილობრივი ფინანსური რესურსი, რომლის პროდუქტებზეც მხოლოდ ერთეულებს მიუწვდებოდათ ხელი, აღარ არსებობს; ეს გადაიქცა საზღვრებს შორის კაპიტალის გავრცელების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად და ასევე შეითავსა ის ფუნქციები, რაც ბანკის კლასიკური გაგებით სრულიად განსხვავდება



ამ ორგანიზაციის პირვანდელი სახისაგან.

პირველი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რასაც მეცნიერები ხაზს უსვამენ, არის ის, რომ საბანკო პროდუქტები, რომლებიც ადრე არსებობდა, იყო ძალიან შეზღუდული, რაც თავის თავად არ აძლევდა არც ბანკებს და არც მომხმარებელს იმის საშუალებას, რომ გამოეყენებინათ ამ ინსტიტუტის რესურსები სრულყოფილად. შესაბამისად, ამ დროში საბანკო სისტემას არ ჰქონდა იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანიზაციის სტატუსი, რაც მას დღეს გააჩნია. ბანკის პროდუქტების მოხმარების საშუალება ჰქონდათ მხოლოდ დიდ კომპანიებსა და მაღალი ფენის წარმომადგენლებს, ვინაიდან ეს ორგანიზაცია ითვლებოდა, ეგრეთ წოდებულ დახურულ საზოგადოებად სხვა მსურველებისთვის. ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია და ახლოსაა იმ თემასთან და სიტუაციასთან, რომელიც დღეს არის საქართველოს საბანკო სისტემაში.

ადრე საბანკო რესურსის ძირითად წყაროს წარმოადგენდა: ა) ბანკის მფლობელების კერძო კაპიტალი და ბ) მეანაბრეების მიერ შემოტანილი თანხები. ეს თავისთავად გავლენას ახდენდა იმაზე, თუ როგორ გაიცემოდა კრედიტი და რა საპროცენტო განაკვეთით, ვინაიდან რესურსები იქნებოდა ლიმიტირებული და ვერც მისი დივერსიფიცირება ხდებოდა კლიენტების მიხედვით და ასევე ვერც კაპიტალის წყაროს მიხედვით.

თუმცა იმის გამო, რომ მფლობელები იყვნენ კაპიტალის ძირითადი წყარო და დაკრედიტება ხდებოდა ძირითადად ელიტური კომპანიებისა და ინსტიტუტების, ამან შედეგად გამოიღო ის, რომ ბანკებს შეეძლოთ გრძელვადიანი გეგმები დაესახათ და შესაბამისად გამხდარიყვნენ ეგრეთ წოდებული „ნებისყოფის მქონე კაპიტალის წარმომადგენლები. დღეს დღეობით ეს თვისება თითქმის სრულად აღმოიფხვრა და შეიცვალა მოკლევადიანი დაგეგმარებით, სადაც კომპანიის აქციები არ არის კონცენტრირებული რომელიმე კონკრეტული აქციონერის ხელში და შესაბამისად რისკის აღების ალბათობა უფრო მაღალია. ეს ფაქტორი ფრიად მნიშვნელოვანია საქართველოს კონტექსტში და ამ თემას უფრო დეტალურად მივუბრუნდებით საქართველოს საბანკო სისტემისა და დაკრედიტების ანალიზის დროს.

საბანკო სისტემის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც მისი როლი ეკონომიკაში, ასევე მისი დაფინანსების წყაროებიც, რამაც დიდი გავლენა იქონია იმაზე, თუ რატომ გახდა საბანკო ორგანიზაცია სხვა ყველა ბიზნესორგანიზაციისგან განსხვავებული

ლი სტრუქტურა.

იქიდან გამომდინარე, რომ ბანკებს მნიშვნელოვანი როლი უჭირავთ და შესაბამისად მათი პასუხისმგებლობის ხარისხი არის ძალიან მაღალი, სხვა ტიპის კორპორაციებისგან განსხვავებით, საბანკო ორგანიზაციები გამოირჩევა რეგულირების მაღალი ხარისხით რამდენიმე მიზეზის გამო:

1. ბანკებს აქვთ გრძელვადიანი ვალდებულებები, რომელთა გარანტიც ეროვნული ბანკი და ბანკის არსებული აქტივებია, თუმცა ეს აქტივები ძირითადად შეადგენს ხელუხლებელ აქტივებს და მათი საბაზრო ფასის დადგენა არის შეუძლებელი;

2. ბანკები და მათ მიერ დადგენილი საპროცენტო განაკვეთები მნიშვნელოვნად განაპირობებს ეკონომიკურ მდგომარეობასა და გავლენას ახდენს ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებლებზე, როგორიცაა ინფლაცია, ეროვნული თუ უცხოური ვალუტის კურსები და ა.შ.

ბანკების მფლობელთა (აქციონერთა) და სხვა მონაწილე პირთა ინტერესები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. აქციონერთა ბუნებრივ ინტერესს წარმოადგენს მათი მოგების მაქსიმიზაცია, რაც განპირობებულია შედარებით რისკიან ინვესტიციებთან და მაღალ საპროცენტო განაკვეთებთან საკრედიტო პროდუქტებზე. თუმცა, ეს პირდაპირ კონფლიქტში მოდის საბანკო ორგანიზაციის სხვა დაინტერესებულ პირებთან. დეპოზიტარებს, ისევე როგორც კრედიტორებს სჭირდებათ სტაბილურობა და იმის გარანტია, რომ ბანკი მომავალში შეძლებს გაცემული კრედიტების ამოღებას და შესაბამისად ამ ორი ჯგუფის წარმომადგენლების დაკმაყოფილებას. ასევე სახელმწიფო პირდაპირ არის დაინტერესებული იმით, რომ საბანკო სისტემა გამართულად მუშაობდეს და არ იყოს ზედმეტი რისკების ამღები, ვინაიდან ამაზე დამოკიდებული მომავალი ინვესტიციების მოზიდვა.

ფულად საკრედიტო პოლიტიკა, რომლის ძირითად გამტარებელს, როგორც წესი, ცენტრალური ბანკი წარმოადგენს, ძირითადი ზემოქმედება სავალუტო კურსზე, საპროცენტო განაკვეთზე, საბანკო სისტემის ლიკვიდურობის საერთო მოცულობაზე და აქედან გამომდინარე, მთლიანად ეკონომიკაზე უნდა განახორციელოს. ამ მიზნების მიღწევა ეკონომიკური ზრდის სტაბილურობის, უმუშევრობის და ინფლაციის დაბალი დონის დადგენის შესაძლებლობის საშუალებას იძლევა. ფულადსაკრედიტო პოლიტიკის ინსტიტუტების პრიორიტეტულობის განსაზღვრა მთლიანობაში იმ მიზნებზე დამოკიდებული, რომლებსაც ცენტრალური ბანკი ქვეყნის გან-



ვითარების ამა თუ იმ ეტაპზე წყვეტს.

საინვესტიციო ბანკები (დიდ ბრიტანეთში – საემისიო სახლები, საფრანგეთში – საქმიანი ბანკები) სპეციალიზირებას საემისიო – სადამფუძნო ოპერაციებზე ახორციელებენ. იმ საწარმოების ან სახელმწიფოს დავალებით, რომელთაც გრძელვადიანი დაბანდებები ესაჭიროებათ და აქციებისა და ობლიგაციების გამოშვებას ახორციელებენ, საინვესტიციო ბანკები დაბანდების მოცულობის, პირობის, ემისიის ვადის, ფასიანი ქაღალდების ტიპის შერჩევის განსაზღვრას, აგრეთვე მათ განთავსებისა და მეორეული მიმოქცევის ორგანიზაციის ვალდებულებებს იღებენ თავის თავზე. ასეთი ტიპის დაწესებულებები, თავიანთ ხარჯზე შეძენისა და ყიდვის ან ამისთვის საბანკო სინდიკატების შექმნის ორგანიზებით, აქციებისა და ობლიგაციების მყიდველებზე სესხის გაცემით გამოშვებული ფასიანი ქაღალდების შეძენის გარანტირები არიან. მიუხედავად იმისა, რომ საკრედიტო სისტემის აქტივებში საინვესტიციო ბანკების წილი არც ისე დიდია, ისინი მათ ინფორმირებისა და საკმაოდ წარმატებული და სადამფუძნო კავშირების ხარჯზე, ეკონომიკაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს.

პირველი ცენტრალური ბანკები 300 წლის წინათ (შვალერი რისკ ბანკი 1668) წარმოქმნილა, მაგრამ საყოველთაო გავრცელება და თანამედროვე მნიშვნელობა მათ მხოლოდ ბოლო ათწლეულში შეიძინეს.

ძირითადი ფაქტები, რომლებიც კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობის ჩატარების მიზანს განსაზღვრავს, – არის მოთხოვნა შემოსავლის მიღებაში და მოთხოვნა საკუთარი აქტივების განსაზღვრული ჯგუფის ლიკვიდურობის უზრუნველყოფაში.

ბანკების ოპერაციები ფასიან ქაღალდებთან მიმართებით როგორც აქტიურები, ასევე პასიურებიც შეიძლება იყოს.

საქართველოს ბანკებს საფონდო და ნდობითი ოპერაციების განხორციელების უფლება გააჩნიათ.

აღნიშნულ ოპერაციებს მიეკუთვნება:

- ემისია და განთავსება ახლად გამოშვებული ფასიანი ქაღალდების;
- დაკრედიტება ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ;
- ფასიანი ქაღალდების საკუთარი ანგარიშით, კლიენტის დავალებითა და თავის ხარჯზე ყიდვა და გაყიდვა;

კლიენტების ფასიანი ქაღალდების შენახ-

ვა და მართვა;

ამრიგად, ოპერაციებიდან დამოუკიდებლობაში კომერციულ ბანკებს შეუძლია ბაზარზე ფასიანი ქაღალდების ემიტენტის გარეშე, ემიტენტებისა და ინვესტორების ურთიერთობაში ფინანსური ინვესტორის და შუამავლის სახით გამოვიდეს. აღნიშნული ოპერაციების ობიექტს ფასიანი ქაღალდები წარმოადგენს.

უცხოური კაპიტალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსია საქართველოს საბანკო სისტემისთვის, ვინაიდან ის წარმოადგენს, პირველ რიგში, კრედიტორების დივერსიფიცირების საშუალებას, ისევე როგორც მნიშვნელოვანი გაგლეხა აქვს საპროცენტო განაკვეთზე რომელსაც ბანკი იღებს. მეცნიერების აზრით, სწორედ ის ფაქტი რომ ბანკებს შეუძლიათ მიმართონ საერთაშორისო საფინანსო ბაზრებს კრედიტებისთვის და ფინანსური რესურსებისთვის, ხოლო იქ საკმაოდ დიდი კონკურენცია არის, კრედიტის მძიებელ ბანკებს ეძლევათ იმის საშუალება, რომ მოახდინონ მათთვის ყველაზე სასურველი საპროცენტო განაკვეთის შერჩევა.

თუმცა იმავე მეცნიერების აზრით, საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე რესურსების ძიება არ არის დაკავშირებული მხოლოდ კარგ არჩევანთან, საიდანაც ბანკებს შეუძლიათ მათთვის სასურველი პროდუქტის მიღება. ამ რესურსებთან ერთად მატულობს ასევე სხვა პირობები, რომლებიც უფრო რთულად არის დაკმაყოფილებადი საერთაშორისო ბაზარზე, ვინაიდან უცხოური კაპიტალის გადინება ხდება, შესაბამისად კაპიტალის მიმწოდებელი ორგანიზაცია არის დაინტერესებული იმ კრიტერიუმების კონსერვაციული შეფასებებით, რისი იგნორირებაც ხდება ადგილობრივ ბაზარზე რესურსების მოძიების დროს. ეს კრიტერიუმები მოიცავს, პირველ რიგში, ქვეყნის რისკს და რაც უფრო რისკიანია ქვეყანა, ეს მით უფრო ზრდის ბანკის მიერ მოთხოვნილ კრედიტზე საპროცენტო განაკვეთს. ამას ერთვის ასევე ისეთი კრიტერიუმები, თუ რამდენად ზუსტად ხდება ინფორმაციის აღრიცხვა, რომელსაც ეყრდნობა უცხოური კაპიტალის მომწოდებელი ორგანიზაცია გადაწყვეტილების მისაღებად.

შესაბამისად, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო ბაზარი სთავაზობს მეტ არჩევანს ბანკებს ფინანსური რესურსების მოსაძიებლად, ის ასევე აწესებს შეზღუდვებსა და მოთხოვნებს, რომლებიც ადგილობრივი დაკრედიტების დროს არ იარსებებდა.



ბაზოგენური ლიტერატურა:

1. Black, Bernard, (1998), „Shareholder Activism and Corporate Governance in the United States’, *The New Palgrave Dictionary of Economics and the Law*, vol.3, 1998, p. 466).
2. Mülbert, Peter O. (2009), „Corporate Governance of Banks’ *Working Paper* 130/2009. *ECGI Working Paper Series in Law*.
3. Bebchuk, Lucian A., Spamann, Holger (2009), „Regulating Bankers’ Pay’, *John M. Olin Center of Law, Economics, and Business*, Discussion Paper No. 641., Harvard: Harvard Law School.
4. Basel Committee on Banking Supervision (2005), „*Enhancing Corporate Governance for Banking Organisations*’, available at: < <http://www.bis.org/publ/bcbs122.pdf>> [accessed 7/05/2010]

GEORGIAN BANKING SYSTEM

KATE DOREULI - A doctoral student of GTU
barata49@mail.ru

Summary

This studies connections between foreign investments and Georgian Banks.

Banks represent one of the most important parts of the economic chain of every country, as they represent organisms which help the correct and appropriate distribution of capital in the economy. When this organism functions correctly, then economy functions in a healthy manner and growth is adequate, which is very impor-

tant both within and outside the country.

There are a some resources for banks in the ways of obtaining capital, which can later be used for different activities and and for running profitable businesses. For the purposes of this study, we will be concentrating on one of the sources of such capital, which banks receive and which derive from the foreign financial sources.